

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს სხდომის

ო კ მ ი №4

ქ. თელავი

20 მაისი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს  
თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: გიორგი ქიზიყელაშვილი, დავით გოგოშვილი.

დღის წესრიგი:

1. მოსახლეობასთან შეხვედრებზე სოფ. ლეჩურში, ლაფანყურში, ლალისყურში და შალაურში დაყენებული პრობლემების შესახებ.

მომხს. მ. მარკოზაშვილი

მოისმინეს: 1. მოსახლეობასთან შეხვედრებზე სოფ. ლეჩურში, ლაფანყურში, ლალისყურში და შალაურში დაყენებული პრობლემების შესახებ.


მომხს. მ. მარკოზაშვილი


მაია მარკოზაშვილმა აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს წევრები შეხვდნენ სოფ. ლეჩურის, ლაფანყურის, ლალისყურის და შალაურის მოსახლეობას, სადაც გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:


1. სოფ. შალაურში არსებულ ბიბლიოთეკას ესაჭიროება წიგნების ფონდის განახლება.
2. სოფ. ლეჩურში გარე განათების ბოძები არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს გამოცვლას;
3. სოფ. ლალისყურში გარე განათების მოწყობა, რისთვისაც საჭიროა 15 სანათი და ბიბლიოთეკაში ელ. ენერჯის შეყვანა.

აზრი გამოთქვას: მ. მარკოზაშვილმა, გ. ქიზიყელაშვილმა და დ. გოგოშვილმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული საკითხების შესწავლა უნდა უზრუნველყოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ.

გადაწყვიტეს: ეთხოვოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას სოფ. ლეჩურში, ლაფანყურში, ლალისყურში და შალაურში დაყენებული პრობლემების შესწავლა.

ფრაქციის თავმჯდომარე:  მ. მარკოზაშვილი

მოდგილე:  გ. ქიზიყელაშვილი

წევრი:  დ. გოგოშვილი